საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-125

01/03/2018

ქ. თბილისი

შპს ,,ჯორჯიან პეტროლიუმი“-ს მიერ წარმოდგენილ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების საცავების მოცულობის გაზრდის პროექტზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის, მე-5 მუხლის 12-ე პუნქტის, ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 №1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ამ ბრძანების დანართში მოცემული დასაბუთების საფუძველზე მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს ,,ჯორჯიან პეტროლიუმი“-ს მიერ წარმოდგენილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების საცავების მოცულობის გაზრდის პროექტი“ **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს ,,ჯორჯიან პეტროლიუმი“ ვალდებულია უზრუნველყოს გარემოსდაცვით სფეროში მოქმედი გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,ჯორჯიან პეტროლიუმი“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,ჯორჯიან პეტროლიუმი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა და წარმომადგენლობითი ორგანოს (სამგორის რაიონის გამგეობის) საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი